კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.eu-nato.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2012 წლის 04 იანვარი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში
ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
www.eu-nato.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
45.45%
74.25%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
30.77%
31.50%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
40.00%
16.00%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
44.00%
41.09%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
0.00%
0.00%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
7.14%
20.00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0.00%
0.00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0.00%
0.00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
14.29%
18.00%
0.00%
20.00%
40.00%
60.00%
80.00%

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული აპარატის ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება სახელმწიფო მინისტრის კომპეტენციის აღწერა, აგრეთვე, მისი არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

ბიოგრაფია

გიორგი პარამიძე დაიბადა 1968 წლის 5 იანვარს ქ. თბილისში. მან დამთავრა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი. ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას გარემოს დაცვის კათედრაზე. არის მეცნიერული კვლევების ავტორი. გიორგი პარამიძე იყო ტექნიკურ უნივერსიტეტში ანტისაჰოთა, საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდამჭერი სტუდენტური მოძრაობის ერთ-ერთი დამარსებელი და ხელმძღვანელი. მონაწილეობას იღებდა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების გადარჩენა-აღდგენის საქმეში.

1989 წლიდან იგი იყო საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ერთ-ერთი დამარსებელი და ცენტრალური სახჭოს წევრი. 1990 წელს საქართველოს მწვანეთა პარტიის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და აშ პარტიის პოლიტიკური კომიტეტის წევრი.

1992 წელს მუშაობა დაიწყო აფხაზეთის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის კომიტეტში, საქართველოს უფროსად.

აფხაზეთში კონფლიქტის დაწყების პირველივე დღეებიდან ხელმძღვანელობდა საქართველოს მწვანეთა ეფიდით აფხაზეთის მოსახლეობის დახმარების ჰუმანიტარულ შტაბს. შემდგომ გიორგი პარამიძე ხელმძღვანელობდა დაკარგულთა მოძიებისა და ტყვეთა გათავისუფლების სახელმწიფო შტაბს. მისი უმუალო ძალისხმევით სპარატისტების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან ევაკუირებულ იქნა მრავლად დარჩენილი 3000-მდე მშვიდობიანი მოკალაქე და ტყვეობიდან გათავისუფლდა 200-მდე ქართველი მებრძოლი, მონაწილეობას იღებდა ოჩამჩირეში, (სოფ. ლაბრამი), სოხუმში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში.

1992 წლიდან აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად და გახდა აფხაზეთის უფლებათა დაცვისა და ეროვნული უმცირესობის საკითხთა კომისიის მდივანი, თავდაცვისა და უმიშროების კომისიის წევრი, აგრეთვე NATO-ს პროგრამაში «პარტნიორობა მშვიდობისათვის» საქართველოს მონაწილეობის სახელმწიფო საკოორდინაციო კომისიის წევრი.

1995 წელს დამთავრა აშშ თავდაცვის სამინისტროს ჯორჯ მარშალის სახელობის ევროპის უმიშროების საკითხთა და თავდაცვითი ეკონომიკის ცენტრი (გერმანია, გარმიშ-პატერკირხენი).

1995 წლის საპარლამენტო არჩევნებზე აირჩიეს საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატად დიდუბის რაიონიდან.

1995 წლის ნოემბიდან 1996 წლის მარტამდე ასრულებდა საქართველოს მოკალაქეთა კავშირის გენერალური მდივნის მოვალეობას.

1996 წლის მარტიდან აირჩიეს საქართველოს პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარედ. მისი ხელმძღვანელობით კომისიის მუშაობის საფუძველზე თანამდებობიდან გადადგენილ იქნენენ მინისტრები: დ. გელეცა (სოფლის მეურნეობის), ფ. იმჯია (კავშირგაბმულობისა და ფოსტის), დ. ზუნიკაშვილი (ენერგეტიკის), დ. იაკობიძე (ფინანსთა). ასევე დ. ელიოზიშვილი (სან. გაზის დეპარტამენტის თავმჯდომარე), კომისიის დასკვნის საფუძველზე სახელმწიფოს მფლობელობამი დაებრუნდა ბუდაურის სასტუმროს 8. მლნ. ლარის ღირებულების აქციათა პაკეტი.

1996 წლის სექტემბრიდან კი აირჩიეს საქართველოს პარლამენტის ფრაქცია «მოკალაქეთა კავშირი»-ს თავმჯდომარედ.

1997 წელს მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა საქართველოს მთავრობისა და საქართველოში «ეარო»-ს განვითარების პროექტის ერთობლივი პროგრამა «კორუფციის კვლევის ცენტრი», რომლის პირველ ეროვნულ დირექტორად თავად დაინიშნა.

1998 წლის ივლისში გადადგა სმკ-ს ფრაქციისა და პარლამენტის ანტიკორუფციული კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

1998 წლიდან იმყოფებოდა ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის დიპლომატიის სკოლაში, სადაც იგი, როგორც უნივერსიტეტის ასოცირებული მკვლევარი, ერთი წლის განმავლობაში სწავლობდა და ამავდროულად სენატორ კარლ ლევინთან (მიჩიგანის შტატი, დემოკრატი) იკვლევდა ა.შ.შ. საგარეოდ ფუნქციონირების პოლიტიკის საკითხებს. აგრეთვე სწავლობდა აშშ-ს და კავკასიის რეგიონის პოლიკიტური და უსაფრთხოების სფეროებში თანამშრომლობის მეკანიზმებს.

1999 წლის ივლის-აგვისტოში პრაქტიკა გაიარა აშშ-ს სენატის საშუალო აღმოსავლეთის კომიტეტში.

1999 წლის ოქტომბრიდან აირჩიეს საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ წევრად დიდუბის რ-ნის # 8 საარჩევნო ოლქიდან.

2000 წლის ოქტომბრიდან 2002 წლის აპრილამდე იყო არჩეული პარლამენტის თავდაცვისა და უმიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ.

- ვებ-გვერდზე არ მოიძიება განცალკევებული ქვე-განყოფილება „პირველი მოადგილე“, სადაც განთავსდებოდა სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მისი კომპეტენციის აღწერა და სრული საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა და აპარატის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

3. ვებ-გვერდზე მოცემულია აპარატის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია, აქვე მითითებულიც იყოს, რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:

კონტაქტი

მისამართი:
ინგოროყვას7, თბილისი, 0134
ტელ/ფაქსი (995 32) 932867

e-mail:info@eu-nato.gov.ge

4. მართალია აპარატის სრული დასახელება მოცემულია პორტალის მთავარ გვერდზე, თუმცა ორივე გადასასვლელი ბმულის - „საქართველო და ევროკავშირი“ და „საქართველო და ნატო“ შიდა გვერდებზე სრული დასახელება მოცემული არ არის („ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი“), ხოლო განთავსებულ ემბლემებზე იკითხება წარწერა - „საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი“, თუმცა ინფორმაცია არ არსებობს დაკონკრეტებული სახით (მომხმარებელმა არ იცის თუ რომელ სახელმწიფო მინისტრის აპარატზეა მითითება):

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება აპარატის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (აპარატის ყველა სტრუქტურული ერთეულის, აგრეთვე საშტატო ნუსხით დადგენილ თანამდებობების პირების, საკონტაქტო ტელეფონის ნომრები, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები).

6. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული აპარატის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული მისი დეტალური საქმიანობის ისტორია, აგრეთვე, არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილება.

7. სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმნას ორი განცალკევებული ქვე-განყოფილება სათაურად „აპარატის ამოცანები და ფუნქციები“ და „სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები“, სადაც შესაბამისად განთავსდებოდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მოქმედი დებულებით

განსაზღვრული სახელმწიფო მინისტრისა აპარატისა და აპარატის ყველა სტრუქტურული ერთეულის ძირითადი ამოცანებისა და ფუნქციების აღწერა:



- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

8. ვებ-გვერდზე არ მოიძიება აპარატის მოქმედი სტრუქტურის შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია. ვებ-გვერდზე არ არსებობს განცალკევებული ქვე-განყოფილება „სტრუქტურა“, სადაც განთავსდებოდა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- აპარატის სტრუქტურის სქემატური (სტრუქტურული ხე) ან ინფორმაციული აღწერა;

- აპარატის სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი და მათი კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა - განყოფილებაში „სახელმწიფო მინისტრის აპარატი“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „აპარატის საქმიანობა“ მოყვანილია აპარატის მოქმედ დებულებასთან შეუსაბამო სტრუქტურული დანაყოფების ჩამონათვალი და მათი ძირითადი ფუნქციები;

- აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი კომპეტენციის აღწერა, სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

- არ მოიძიება აპარატის სტრუქტურული ერთეულების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები.

ამასთან, ვებ-გვერდზე სასურველია აგრეთვე შეიქმნას განცალკევებული ქვე-განყოფილება სათაურად „აპარატის თანამშრომლები“, სადაც განთავსდებოდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საშტატო ნუსხის შესაბამისად დადგენილ უკლებლივ ყველა საჯარო მოსამსახურის (სულ 26) შესახებ ინფორმაცია (სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო რეკვიზიტები).

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

9. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზების ერთობლიობა - არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი, ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, აპარატის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების და ფინანსური ხასიათის მაჩვენებლების მონაცემთა ბაზა, სტატისტიკური მაჩვენებლები *და ა.შ.*

ამასთან, განყოფილებების „ფოტოგალერეა“ და „პუბლიკაციები“ შიგთავსი საჭიროებს განახლებას, ვინაიდან უკეთეს შემთხვევაში უახლესი ინფორმაცია ამ განყოფილებებში თარიღდება გასული წლის ნოემბრის თვით:

პუბლიკაციები

WEEKLY STANDARD.COM
In Russia`s shadow

By Matthew Continetti
14 June 2010

It's hard building a house when your neighbor has annexed the front lawn. Since November 2003, when the Rose Revolution brought Mikhail Saakashvili's United National Movement (UNM) to power, the Republic of Georgia has been trying to build a modern liberal democracy in the middle of the Caucasus. It hasn't been easy—thanks mainly to the influence of Russia, which even invaded Georgia in August 2008. Today, almost two years after that war, Vladimir Putin's troops still occupy the provinces of Abkhazia and South Ossetia in contravention of international law. The Russians control more than 20 percent of the country. They have about 10,000 soldiers and FSB agents in the occupied territories. Their forces are only 30 miles from the Georgian capital. They could crush the independence and democratic aspirations of 4.6 million Georgians in a matter of hours.

Read full article: eu-integration.gov.ge/uploads/docs/WeeklyStadardJune2010.doc

The Wall Street Journal
An Economic Responsibility Act for Britain
By Eamonn Butler
25.V.2010

After the financial horrors of the past two years, politicians in Europe seem to have rediscovered the old-time religion of public-spending restraint.

Not always voluntarily, of course: Greek Prime Minister George Papandreou had it forced upon him by the threat of a 9 billion euro debt default and the imminent prospect of his country spiraling down the bankruptcy tube. In return for the first 14.5bn euro instalment of a 110bn euro bail-out package from other euro members, he announced budget-balancing austerity measures, including a freeze-- then cuts-- in pensions, higher consumption taxes, and a crackdown on tax evasion, up to now a national way of life.

Ireland too had to change its ways. Deep recession and five-year CDS spreads of Greek proportions required Ireland's Finance Minister Brian Lenihan to get tough with the public sector. His December budget included 4 billion euros in savings, with pay cuts of up to 15% for public sector workers, and cuts in welfare, child benefits, and investment projects. But that medicine convinced the markets of Ireland's ability to recover in a sustainable fashion.

See full article: eu-integration.gov.ge/uploads/WSJ25_V.pdf

ხოლო, განყოფილებაში „ოფიციალური დოკუმენტები“ განთავსებული ბმული „საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მოკლე მიმოხილვა“ არ მუშაობს:

ოფიციალური დოკუმენტები

- ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის (ENP AP) განხორციელების 2011 წლის გეგმა
http://eu-integration.gov.ge/uploads/-ENPAP-Plan-2011-geo-final-9.doc

- ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის (ENP AP) შესრულების 2010 წლის ანგარიში
http://eu-integration.gov.ge/uploads/ENPREPORT2010FINAL04_03_2011.doc

- ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის (ENP AP) განხორციელების 2010 წლის გეგმა
eu-integration.gov.ge/uploads/ENPAP-Plan-2010-Geo-8-Final.doc

- საქართველოსა და ევროკავშირის ერთობლივი დეკლარაცია " მობილურობა პარტნიორობისათვის", XI, 2009
eu-integration.gov.ge/uploads/docs/Georgia-EUJointdeclaration.doc

- საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მოკლე მიმოხილვა
eu-integration.gov.ge/admin_sa/filemanager/saqarTveloevrokavSirisurTierTobebismoklemimoxilva.docx

- ევროპის სამეზობლო პოლიტიკა eu-integration.gov.ge/uploads/ENPAP.pdf

- ევროპის სამოქმედო პოლიტიკა, სამოქმედო გეგმა ევროკავშირი- საქართველო - eu-integration.gov.ge/uploads/ENPAP.pdf

- შეთანხმება პარტნიორობისა და შეთანხმების შესახებ 22 აპრილი, 1996წელი - eu-integration.gov.ge/uploads/PCAGeo.pdf

- ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში იანვარი-ივნისი,2010
eu-integration.gov.ge/uploads/ENPREPORT2010January-June_FINAL.doc

- დოკუმენტი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ
eu-integration.gov.ge/uploads/DanartiI-Non-paperOccupationFinal.doc

აგრეთვე არ მუშაობს განყოფილებაში „ევროკავშირის დახმარება“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ევროკავშირის პროგრამების კოორდინაციის სამსახური (NCU)“ – „დახმარების პროგრამების ფინანსთა სამინისტროს მონაცემთა ბაზა“ მოყვანილი გადასასვლელი ბმული:



10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი.

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

11. აპარატის ვებ-გვერდის განყოფილებაში „ახალი ამბები“ მოყვანილი საინფორმაციო ხასიათის ცნობები მართალია სიუხვით გამოირჩევა, თუმცა ცნობების ამსახველი ფოტომასალა ძალზედ იშვიათად თუ ახლავს თან ამა თუ იმ ცნობას.

გარდა ამისა, ხსენებულ განყოფილებაში სასურველია მოიძიებოდეს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მისი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების და მონაწილეობის შესახებ სხვადასხვა ღონისძიებებში.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ვებ-გვერდზე არ მოიძიება 2012 წლით დათარიღებული არცერთი საინფორმაციო ხასიათის ცნობა:

ახალი ამბები

23 დეკემბერი, 2011: **ევროკავშირის INOGATE-ის პროგრამის მიმდინარე პროექტის ახალი ვებ-გვერდი**

ევროკავშირის INOGATE-ის პროგრამის მიმდინარე პროექტის - Energy Saving Initiative in the Building Sector (ESIB) ფარგლებში ამოქმედდა პროექტის ახალი ვებ-გვერდი http://www.inogate-ee.org

დაწვრილებით

22 დეკემბერი, 2011: **კონკურსი Erasmus Mundus – ის მეორე აქტივობის პროექტის ALRAKIS ფარგლებში**

გამოცხადდა კონკურსი Erasmus Mundus- ის მეორე აქტივობის პროექტის ALRAKIS ფარგლებში.

Erasmus Mundus არის თანამშრომლობისა და მობილობის პროგრამა უმაღლესი განათლების სფეროში, რომელიც მიმართულია ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ და ხელს უწყობს დიალოგსა და ურთიერთგაგებას ხალხსა და კულტურებს შორის მესამე ქვეყნებთან თანამშრომლობის საფუძველზე.

დაწვრილებით

16 დეკემბერი, 2011: **პროგრამა Twinning–ის საინფორმაციო შეხვედრა**

დღეს, სასტუმრო "შერატონში" ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის პროგრამების ადმინისტრირების სამსახურისა (PAO) და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მხარდამჭერი პროექტის (PAO Support Project) ორგანიზებით პროგრამა Twinning–ის საინფორმაციო შეხვედრა და პროექტის დასრულების ღონისძიება გაიმართა.

დაწვრილებით

14 დეკემბერი, 2011: **ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განათლების სფეროში მიმდინარე ევროკავშირის პროგრამებთან დაკავშირებით მიღწეულ პროგრესზე**

2011 წლის მეორე ნახევარში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად აწარმოებდა კონსულტაციებს ევროკომისიასთან განათლების სფეროში მიმდინარე ევროკავშირის პროგრამების - TEMPUS-ის და ERASMUS MUNDUS-ის ფარგლებში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, რის შედეგადაც მიღწეულია პროგრესი შემდეგი მიმართულებით:

დაწვრილებით

9 დეკემბერი, 2011: **აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის ახალი ვებ-გვერდი**

იწფორმაციისათვის იხილეთ: http://www.enpi-info.eu/maineast.php?id_type=1&id=27362&lang_id=450

დაწვრილებით

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15

12. განყოფილებაში „სახელმწიფო მინისტრის აპარატი“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „აპარატის საქმიანობა“ მოყვანილ ანგარიშებთან ერთად სასურველია მოიძიებოდეს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის გაწეული საქმიანობის შესახებ 2011 წლის მეორე, მესამე და მეოთხე კვარტლის ანგარიშებიც.

ამასთან, ხსენებულ ქვე-განყოფილებაში მოყვანილი 2008 წლის ანგარიშის შესაბამისი ბმული არ იხსნება:

აპარატის საქმიანობა

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ 2011 წლის იანვარი-მარტი
http://eu-integration.gov.ge/uploads/1Kvartlisangarishi.doc
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ 2010 წელი
http://eu-integration.gov.ge/uploads/-angarishi2010-.doc
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ 2010 წლის იანვარი-ივნისი
http://eu-integration.gov.ge/uploads/2010_6_tve.doc
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ანგარიში 2010 წლის 1-ლი კვარტალი http://eu-integration.gov.ge/uploads/2010_i_kvartali.doc
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ანგარიში 2009 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ eu-nato.gov.ge/uploads/2009_wlis_angariSi_didi1.doc
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ანგარიში 2009 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ
eu-nato.gov.ge/uploads/prezentacia_angariSi_2009aCikosgasworebuli.ppt
ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, 2009 წლის იანვარი-სექტემბერი
eu-integration.gov.ge/uploads/2009_3kvartali_saerTo.doc
ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, 2009 წლის
იანვარი-ივნისი eu-integration.gov.ge/uploads/gasworebuliangariSi_6tve_2009.doc
ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, 2008 წ.
eu-integration.gov.ge/uploads/dijest/scaledv3acya.jpg
ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, 2007 წ
eu-integration.gov.ge/uploads/elene/Report2007.doc
ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, იანვარ-სექტემბერი 2007წ
integration.gov.ge/uploads/pdfs1/aparatisangarisi2007_9tve%20-saerto.doc
ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, 2006წ
eu-integration.gov.ge/uploads/angariSi%202006.pdf

13. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება (ბანერი) „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა აპარატის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ აპარატის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

14. სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილება სათაურად „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

15. სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, სადაც სხვა შესაბამის ინფორმაციასთან ერთად მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების/პროექტების შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

*(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2010 წლის პირველი იანვრიდან დღემდე სამინისტროს კომპეტენციის სფეროში განხორციელებული პროექტების და პროგრამების ჩამონათვალი, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/proeqtebi_da_gonisdziebebi0001.pdf).

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

16. ვებ-გვერდზე შესაქმნელია (ქვე-)განყოფილება სათაურად „კანონმდებლობა“ ან „სამართლებრივი აქტები“ სადაც განთავსდება აპარატის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და სახელმწიფო მინისტრის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები; აგრეთვე აპარატის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტები და საერთაშორისო ხელშეკრულებები/შეთანხმებები.

ამასთან, აპარატის დებულება სასურველია მოიძიებოდეს ცალკეულ ქვე-განყოფილებაში.

სასურველია შესაქმნელ (ქვე-)განყოფილებაში, აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

- საქართველოს კანონი "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ";

- საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 14 თებერვლის N61 ბრძანებულება ,,საქართველოს მთავრობაში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობების შემოღების შესახებ".

ყველა სამართლებრივი აქტი ვებ-გვერდზე უნდა მოყვანილ იქნეს მოქმედი მდგომარეობით და ექვემდებარებოდეს პერიოდულ განახლებას.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

17. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ მიმართვათა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში მიღების წესისა და ვადების აღწერა.

18. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და აპარატში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. *(პროექტ **,,საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის'' ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი''**, სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებასა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/evroatlantikuri_infostatistic0001.pdf).

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

19. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „ტენდერები“, სადაც განთავსდებოდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, აპარატის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და თითოეულ მათგანზე გახარჯული თანხის ოდენობა, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/___evroatlantikuri_shesyidvebi0001.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა, 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/evroatlantikuri_shesyidvebi0001.pdf).

20. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, აპარატსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

21. ვებ-გვერდზე არ არსებობს განცალკევებული განყოფილება „ვაკანსიები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (აპარატის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით), თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა *და ა.შ.*

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

22. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება აპარატისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ და აპარატის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;
  *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის 2011 წლის მეორე კვარტლის შესრულების ბალანსი/ანგარიში), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/evroatlantikuri_budget.pdf*
  აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:
  http://www.opendata.ge/pdf_files/evroatlantikuri_budget0001.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2009-2010 წლის ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციას კვარტლების ან/და თვეების მიხედვით („საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 47.1 მუხლის თანახმად, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/8_2010_clis_biujeti0001.pdf);

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ;

- არ მოიძიება აპარატის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“** ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს **„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა სამინისტროს თანამშრომლეთა სია თანამდებობების მიხედვით და თითოეული თანამდებობრივ სარგოებზე (ცალ-ცალკე) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხების ოდენობა 2009/2010 წლების განმავლობაში, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:http://www.opendata.ge/pdf_files/tanamshromlebze_gacemuli_premiebi_da_xelpasebi.pdf*
  აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა, 2009 წლის მთლიანად და 2010 წლის 1 იანვრიდან დღემდე მინისტრის, მინისტრის მოადგილეების, სტრუქტურული ქვედანაყოფების (ერთეულების), ხელმძღვანელი პირების და მათი მოადგილეების თანამდებობრივი სარგოების და სახელფასო დანამატების ოდენობას (ცალ-ცალკე),რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/tanamdebobrivi_sargoebi.pdf);

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ აპარატისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა;

ზემოთხსენებული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს შესაქმნელ განცალკევებულ განყოფილებაში („ფინანსები“, „ხარჯთაღრიცხვა“, „ბიუჯეტი“ *და მისთ.*).

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
88.89%
2. ძიება
20.00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
40.00%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25.00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
33.33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0.00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
63.16%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
57.14%
9. ელექტრონული ჩართულობა
0.00%
10. ელექტრონული სერვისები
9.09%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0.00%
12. უსაფრთხოება
33.33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
25.00%
0
0.2
0.4
0.6
0.8
1

- **ნავიგაცია**

მენიუს რომელიმე კატეგორიაში, მაგალითად „NATO - რა არის ნატო“ -ში შესვლის შემთხვევაში

გამოდის კატეგორიის დასახელება, რაც არ არის მიზანშეწონილი:

კატეგორიის დასახელების მაგივრად უნდა გამოდიოდის მიმდინარე კატეგორიის ქვე-კატეგორიები:

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდის კონტენტს უნდა ქონდეს თავისი საზღვრები. არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ტექსტი და სურათები ერთმანეთზე მიბჯენილი მაგ:

ამ შემთხვევაში დაშორება უნდა იყოს მინიმუმ 2 პიქსელი;

- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდის კალენდარი, რომელიც მომხმარებელს ეხმარება თარიღის მიხედვით მოძებნოს სიახლეები არ ფუნქციონირებს:



მასზე დაჭერით გადავდივართ მთავარ გვერდზე:



- **დამატებითი პარამეტრები**

ვებ-გვერდზე არსებობს ორი ძირითადი კატეგორია:

„საქართველო და ევროკავშირი“
„საქართველო და ნატო“

ამ 2 კატეგორიას აქვს ზუსტად იდენტური ვებ-გვერდის სტრუქტურა და პროგრამული უზრუნველყოფა. ასევე მათ აქვთ საერთო კატეგორიები. მომხმარებლისთვის უფრო კომფორტული იქნებოდა, რომ ეს კატეგორიები თავიდანვე არ ყოფილიყო 2-ად გაყოფილი და მათი გაყოფა მომხდაყიო თავად ვებ-გვერდში:

ვებ-გვერდზე ატვირთული დოკუმენტების დასახელებებში შესულია ვებ-გვერდის დასახელება და ასევე ფაილამდე მისი სრული მისამართი. მაგ:

- ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის (ENP AP) განხორციელების 2011 წლის გეგმა
http://eu-integration.gov.ge/uploads/-ENPAP-Plan-2011-geo-final-9.doc

- ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის (ENP AP) შესრულების 2010 წლის ანგარიში
http://eu-integration.gov.ge/uploads/ENPREPORT2010FINAL04_03_2011.doc

- ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის (ENP AP) განხორციელების 2010 წლის გეგმა
eu-integration.gov.ge/uploads/ENPAP-Plan-2010-Geo-8-Final.doc

- საქართველოსა და ევროკავშირის ერთობლივი დეკლარაცია " მობილურობა პარტნიორობისათვის", XI, 2009
eu-integration.gov.ge/uploads/docs/Georgia-EUJointdeclaration.doc

- საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მოკლე მიმოხილვა
eu-integration.gov.ge/admin_sa/filemanager/saqarTveloevrokavSirisurTierTobebismoklemimoxilva.docx

- ევროპის სამეზობლო პოლიტიკა eu-integration.gov.ge/uploads/ENPAP.pdf

- ევროპის სამოქმედო პოლიტიკა, სამოქმედო გეგმა ევროკავშირი- საქართველო - eu-integration.gov.ge/uploads/ENPAP.pdf

- შეთანხმება პარტნიორობისა და შეთანხმების შესახებ 22 აპრილი, 1996წელი - eu-integration.gov.ge/uploads/PCAGeo.pdf

- ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში იანვარი-ივნისი,2010

დოკუმენტების სახელში არ უნდა იყოს მითითებული არც დოკუმენტის სრული გზა (მისამართი) და არც ვებ-გვერდის სახელი, იგი უნდა მოიცავდეს იმ კონკრეტულ სათაურს რაც ეხება დოკუმენტს. ეს მნიშვნელოვანია, როგორც მომხმარებლისთვის, ასევე საძიებო სისტემებისთვის.

ყველა გვერდს უნდა ჰქონდეს თავისი დასახელება (Document Title) და აღწერა (Document Description). ეს მცირე, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანი დეტალები მოქმედებს როგორც მომხმარებელზე, ასევე საძიებო სისტემებზე.

ამჟამად ვებ-გვერდის ყველა გვერდს აქვს ერთდაიგივე დასახელება და აღწერა.

მაგ:



რეალურად მომხმარებელი იმყოფება „ახალ ამბებში“ თუმცა გვერდის დასახელებაში წერია “EU integration” ეს შეუსაბამობა აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. გამოსწორების შემდეგ, ვებ-გვერდი იქნება მეტად მოძიებადი და გაცილებით რეიტინგული ყველა საძიებო სისტემისთვის.

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვედი მოძველებულია როგორც დიზაინისა და პროგრამული მხარდაჭერის მხრივ. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელია ვებ-გვერდი გახდეს გაცილებით მოქნილი და პრაქტიკული. ასევე ვებ-გვერდს სჭირდება საძიებო სისტემებში ინტეგრაცია, რათა მასში ატვირთული სიახლეები და დოკუმენტები იყოს მეტად ხელმისაწვდომი.